თემა 16

ზოოპარკი

Зоопарк

გაკვეთილის მიზანი:

დაეხმაროს ბავშვებს ზოოპარკის კონცეფციის გარკვევაში და გააცნოს ცხოველთა სამყარო.

კონკრეტული მიზანი:

- განუვითაროს ბავშვებს ცხოველების სახელწოდებებთან დაკავშირებული ლექსიკა;
- გააცნობს ბავშვებს კონკრეტული ცხოველების ქცევები და ხმები;
- დაეხმაროს ანალიტიკური უნარის განვითრებაში, რომელიც გალიებში ცხოველების ყოფას უკავშირდება
- განუვითაროს ემპათია და სიყვარული ცხოველთა მიმართ

ლექსიკური ამოცანები	გამოყენებული ფრაზები და წინადადებები
ლომი, ვეფხვი, მგელი, მელია, დათვი, ირემი, სპილო, ზებრა, ჟირაფი. მაიმუნი. გალია. ღრიალებს. ყმუის. ბაჯბაჯებს. კუდი. კისერი. ზოლიანი. ხორთუმი,	• ზოოპარკში ცხოვრობენ. • ბავშვები სტუმრობენ. • ლომს აქვს ფაფარი; • ვეფხვს აქვს ზოლები. • ირემს აქვს რქები. • სპილოს აქვს ხორთუმი. • ზებრა აქვს ზოლები • ჟირაფს აქვსგრძელი კისერი. • დათვს უყვარს თაფლი. • მელიას აქვს გრძელი კუდი. • მგელს აქვს დიდი პირი. • მაიმუნს უყვარს ბანანი.

აქტივობა 1 - გავიცნოთ ცხოველები

აჩვენეთ ბავშვებს ფილმი ცხოველების შესახებ, ისე, რომ ხმა არ იყოს ჩართული. სთხოვეთ მათ, დაასახელონ ცხოველების სახელები თუ იციან, მშობლიურ ან ქართულ ენაზე. უთხარით ბავშვებს ხმამაღლა და მკაფიოდ თითოეული ცხოველის სახელი. ყველა ცხოველის ამავდროულად გააკარით დაფაზე ცხოველების ბარათები, რომ ბავშვებს შეეძლოთ ნებისმიერ

დროს დაინახონ ისინი და გაიმეორონ მათი სახელები. მომდევნო ჯერზე, ჩართეთ ხმაც და მოასმენინეთ ბავშვებს ცხოველების შესახებ ინფორმაცია
https://www.youtube.com/watch?v=EeQiSZ978Ys

აქტივობა 2 - კითხვის დრო

წაუკითხეთ ბავშვებს ქვემოთ მოცემული ტექსტი გამდიდრებული კითხვის მეთოდით.

ზოოპარკი

ინგა ქორდელი

ბევრი ბევრი გალია,
უამრავი ცხოველი,
არამარტო ცხოველი
ფრინველებიც არიან.

სპილო, დათვი, ბეჰემოტი,
ნიანგი და ზებრა,
ლომები და მაიმუნები
ცხოვრობს ყველა ერთად.

ერთად არის თავმოყრილი
ყველა ერთ დიდ სახლში,
რომელსაც ჩვენ ხშირად ვსტუმრობთ
ლამაზ ზ ო ო პ ა რ კ შ ი!

ეცადეთ, რომ შემდეგ წაკითხვებზე ბავშვებიც აგყვნენ ცხოველების ჩამოთვლაში. სთხოვეთ, რომ ლექსს რითმში ტაში ააყოლონ. შეგიძლიათ, რომ ასევე ჩართოთ მხიალური მუსიკა და რითმში აუწყოთ ლექსი, იმისათვის, რომ ბავშვებს კარგად დაამახსოვრდეთ.

აქტივობა 3 - ეს რა ცხოველია?

გააკარით ბავშვებისათვის პოსტერი, სადაც ზოოპარკი და მისი ბინადრები არიან დახატული. აჩვენეთ პოსტერზე, როგორ ათვალიერებთ ბავშვები ცხოველებს, კვებავენ და ეთამაშებიან ზოგიერთ მათგანს. თითოეულ ცხოველთან მიმართებით აჩვენეთ თავისებურებები, რომლებზეც გინდათ, რომ ყურადღება გაამახვილოთ. ინტონაციით და აქცენტებით აუხსენით, რომ ცხოველები გალიებში არიან და თუ ბავშვები არ ესტუმრებიან, შეიძლება

მოიწყინონ. სთხოვეთ ბავშვებს თქვენს მერე მოვიდნენ სათითაოდ, დაასახელონ ცხოველები და დაახასიათონ იმ სიტყვების გამოყენებით, რომლებიც თქვენ გამოიყენეთ.

აქტივობა 4 - ზოოპარკის უფროსი

დაასახელეთ ერთი ბავშვი, რომელიც იქნება ზოოპარკის უფროსი. მიეცით მოსწავლეს სხვადასხვა ცხოველების სურათები. მოსწავლემ უნდა „დაუძახოს“ კონკრეტულ მხეცს/ცხოველს, ხოლო სხვა ბავშვები კი გარშემო დაიწყენებ სიარულს ისე, რომ კონკრეტული მხეცი/ცხოველი განახორციელონ. როდესაც ზოოპარკის უფროსი იტყვის, „ჭამის დროა“, ყველა სხვა ბავშვი უკან, საკუთარ ადგილს უბრუნდება. გაიმერეთ აქტივობა მანამდე, სანამ ბავშვები იხალისებენ. პერიოდულად უკვე სხვა „ზოოპარკის უფროსი“ დაუძახებს სხვა მხეცებს/ცხოველებს.

აქტივოება 5 - დახატეთ!

დაყავით ბავშვები იმდენ ჯგუფად, რამდენი ცხოველის წარდგენასაც აპირებთ მათთვის. დაურიგეთ ბავშვებს თითო ჯგუფს თითო ცხოველის გამოსახულება, დაურიგეთ გასაფერადებელი ფურცლები და ფერადი ფანქრები. სთხოვეთ, რომ გააფერადონ ცხოველები. სთხოვეთ ბავშვების ჯგუფს, რომ აჩვენონ დანარჩენებს საკუთარი ნახატები და აჩვენონ: - ლომის ფაფარი, ვეფხვის ზოლები. მგლის დიდი პირი, დათვი თაფლით, სპილო ხორთუმით და ა.შ.

აქტივოება 6 - ვისია?

ახლა კი, დაურიგეთ ბავშვებს ცხოველების ლოტო და ცალკე ის მახასიათებლები, რომლებზეც ისაუბრეთ. სთხოვეთ ბავშვებს აირჩიონ მახასიათებლები და მიუსადაგონ ცხოველებს. ასწიეთ ცხოველი და სთხოვეთ ბავშვებს დაასრულონ წინადადებები:

- ლომს აქვს ----------
- ვეფხვს აქვს ----------

ბავშვები ტაშით დააჯილდოვეთ.

რესურსები:

კარტები-ნახატები:

1. სპილო
2. მაიმუნი
3. ლომი
4. ვეფხვი
5. ჟირაფი
6. მგელი
7. დათვი

8. მელა
9. კურდღელი
10. ირემი
11. მარტორქა
12. ბეჰემოტი
13. არწივი
14. ბუ
15. კოდალა
16. ბულბული
17. წერო